



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 108

ქალაქი ქუთაისი      26      სექტემბერი      2018 წელი

„2018-2019 სასწავლო წლისათვის სკოლამდელი დაწესებულებების მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ“ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ინფორმაციის თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მ/წლის 26 სექტემბერს, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N44 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ინფორმაცია „2018-2019 სასწავლო წლისათვის სკოლამდელი დაწესებულებების მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

**მუხლი 1.** მიღებულ იქნეს ცნობად „2018-2019 სასწავლო წლისათვის სკოლამდელი დაწესებულებების მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ“ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ინფორმაცია.

(ინფორმაცია წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია

„2018-2019 სასწავლო წლისათვის სკოლამდელი დაწესებულებების  
მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ“ არამესაწარმო (არაკომერციული)

იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“

ინფორმაცია

არასამეწარმო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“, ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია, როგორც პროფესიული, ასევე ლოჯისტიკური რესურსით და უპირველესად, მისი ფუნქციით – ემსახუროს სახელმწიფო პოლიტიკისათვის ყველაზე პრიორიტეტულს - ჯანსაღი და სრულყოფილი თაობების აღზრდის საქმეს. უზარმაზარია ამ პროცესის წარმატებაში თვითმმართველობის როლი, რომლის მხარდაჭერის გარეშე, ჩვენი ინიციატივები ვერ განხორციელდება.

წარმოგიდგინთ გასული სასწავლო-სააღმზრდელო წლის მოკლე ანგარიშს და საჭირო სტატისტიკას:

ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებაშია 37 ფილიალი, 10 ათასი აღსაზრდელი და 1710 თანამშრომელი;

გაერთიანების საერთო სტრატეგიაა: ბავშვის განვითარებისათვის ადეკვატური საგანმანათლებლო პროცესის ჩამოყალიბება; უსაფრთხო გარემო; სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტების დაცვა; კვების ორგანიზება; პოზიტიური სივრცის უზრუნველყოფა; განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებზე ზრუნვა; ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

გაერთიანების ყველა ფილიალი მუშაობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშავებული 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვის განვითარების სტანდარტზე დაყრდნობით, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მომზადებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი და ინკლუზიური განათლების ცენტრში შემუშავებული სასწავლო-სააღმზრდელო ერთიანი პროგრამით, რომლის მეთოდოლოგიად გამოყენებულია თემატური სწავლება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და ეფექტური მოდელი.

მიმდინარე წელს ბაგა-ბაღები 83-მა სასკოლო მზაობის ჯგუფმა დაასრულა 2849 აღსაზრდელით, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფილი გვეყვდა წლის მანძილზე მეთოდური სახელმძღვანელოებით და გადამზადებული, კვალიფიციური პედაგოგებით. მიმდინარე სასწავლო – სააღმზრდელო წელს, იგივე რაოდენობის ახალი ნაკადი აგრძელებს სასკოლოდ ჩვენს ფილიალებში მზადებას.

ჩვენი გაერთიანების ეგიდით, 2018 წელს მომზადდა წინადადებები საქართველოს პარლამენტის დადგენილებისათვის „ბავშვთა განვითარებისაკენ მიმართული ადრეული ჩარევის სახელმწიფო კონცეფცია“;

მემორანდუმი გაგრძელდა ორგანიზაცია „ხიდი სოციალური ინკლუზიისათვის“ ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით, რომლის მიზანია ბაღებში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების აქტიურად ჩართვა საერთო საგანმანათლებლო – სააღმზრდელო პროცესში 7 საპილოტე ფილიალით(N2, N13, N17, N28, N29, N33, N36);

გაფორმდა მემორანდუმი ქუთაისის აკ.წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და პედაგოგიური ფაკულტეტის 11-მა სტუდენტმა წარმატებით გაიარა 3 თვიანი პედაგოგიური პრაქტიკა სკოლამდელი ინკლუზიური განათლების დაწესებულებებში;

საქართველოს პორტიჯის ასოციაციის, ილიას და აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტების პარტნიორობით გაერთიანების აღმზრდელებსა და მეთოდისტებს ინტენსიურად უტარდებათ ტრენინგ-სემინარები;

ჩვენს მიერ გაწეულ მუშაობას წლის მანძილზე, მაღალი შეფასებები მისცეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, უცხოელმა დონორებმა, კემბრიჯის პროფესორამ ბავშვთა ინკლუზიური განათლების დარგში. ანალოგიური პროექტები წელსაც გაგრძელდება, მაგრამ მისაღწევი გვაქვს მთავარი – გვყავდეს ინკლუზიურ განათლებაში სპეციალური პედაგოგი, რაც თქვენი მხარდაჭერის გარეშე, ვერ მოგვარდება. მითუმეტეს, რომ ახალი გუნდის სათავეში მოსვლის შემდეგ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ზრუნვა, ქალაქის ხელისუფლების ყველაზე მკაფიო პრიორიტეტი გახდა.

2018 წელს შემუშავდა ბავშვთა კვების ახალი პროგრამა. ბავშვები ბაღში იღებენ უსაფრთხო და უვნებელ საკვებს. ყოველდღიური მენიუ არის მრავალფეროვანი და ბალანსირებული.

თითოეულ კერძზე შედგა ტექნოლოგიური რუკა და საკვების გაცემის ნორმები, რაც უზრუნველყოფს მაღალი გემოვნებით ხარისხსა და მაქსიმალურად საწყისი კვებითი ღირებულების შენარჩუნებას.

კერძების ნაკრებმა უზრუნველყო ბავშვთა ორგანიზმის მოთხოვნილებები ძირითად საკვებ ნივთიერებებსა და ენერჯიაზე: ბაღში ყოფნის პერიოდში ბავშვმა უნდა მიიღოს 1200-1300 კ.კალ. შესაბამისად, ითვლება როგორც კალორიები, ასევე ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები.

პირველად მოხდა ბავშვთა კვებაში ქათმის ფილესა და მაღალი ხარისხის ორაგულის ფილეს შეტანა.

სან-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და სამედიცინო სამსახურის მიმართულებით ინტენსიურად ტარდება მონიტორინგი:

1. აღსაზრდელთა ჯანმრთელობასა და ჰიგიენურ მდგომარეობაზე (პედიკულოზი, სხვადასხვა რესპირატორული და ინფექციური დაავადებები); პედიკულოზის შემთხვევა დაფიქსირდა რვა ფილიალში;
2. ექთნის დოკუმენტაციის სწორად წარმოებაზე;
3. შემოსული სასურსათო პროდუქტების ხარისხსა და მათი ეტიკეტების წესების დაცვაზე; მითითება მიეცა ორ მომწოდებელს;
4. სამეურნეო საქონლის მიზნობრივ ხარჯვაზე;
5. მზა კერძების სინჯების შენახვა-გაცემასა და ბავშვებისათვის განკუთვნილი ულუფის მიღებაზე; დისციპლინარული პასუხისმგებლობა გავრცელდა ორ ფილიალზე;
6. სადუხინფექციო საშუალების მომზადება/გამოყენების წესების მკაცრად დაცვასა და გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოებზე;
7. ინტენსიურად მიმდინარეობს სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი.

მიმდინარე წლის 13 სექტემბერს საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე გაერთიანებამ წარმოადგინა ანგარიში ყველა დაფიქსირებული შემთხვევის და პრევენციის შესახებ. აქვე გიხდით დიდ მადლობას თქვენს მიერ გამოხატულ სრულ მხარდაჭერაზე აღსაზრდელთა უსაფრთხო გარემოს შექმნისა და ჯანმრთელობის დაცვის დიდ კამპანიაში.

ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანი: ინფრასტრუქტურა და გაერთიანების მიერ გაწეული მუშაობა მიმდინარე, ახალი სასწავლო – სააღმზრდელო წლისათვის.

კორპუსის მიშენება გაკეთდა და დასრულდა ორ ფილიალზე (N3 და N4). შენობებს ახალი ჯგუფი და სამზარეულო დაემატა, რომელიც ამ დრომდე ეზოში იყო. სექტემბრიდან ბავშვები ახალ ჯგუფებში გადანაწილდნენ.

განხორციელდა 2 700 000 ლარის შესყიდვა სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე.

2018 წლის იანვრიდან დღემდე გაფორმდა 136 ხელშეკრულება.

7 ფილიალში დაიწყო სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ასევე, 2018 წლის მანძილზე მოხდა:

№28 ბაგა-ბაღში ძველი ამორტიზირებული საწოლების დემონტაჟი და აღდგენა (36ც.);

№22 ბაგა-ბაღში ჯგუფის დამხმარე სამზარეულოს რემონტი;

№32 ბაგა-ბაღის ცენტრალური სამზარეულოს ჩანის მშენებლობა და ჯგუფის დამხმარე სამზარეულოს რემონტი;

№17 ბაგა-ბაღის სახურავის ძაბრების მონტაჟი;

№1 ბაგა-ბაღის დაზიანებული ღობის შეკეთება;

№15 ბაგა-ბაღის ძველი წყლის ავზის დემონტაჟი (ახლით ჩანაცვლება);

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დაზიანებული საკონფერენციო დარბაზის რემონტი;

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ N17 და N20 ფილიალებში სარემონტო სამუშაოები;

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ N5, N9, N30 და N37 ფილიალებში კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები;

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ N7, N18, N21, N27 და N12 ფილიალების შენობის ბრტყელი გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

N21 ფილიალის შენობის სარდაფში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები;

N2 ფილიალში შეკეთდა შესასვლელი კიბე;

გაერთიანების რამდენიმე ფილიალში იგეგმება მისასვლელი გზების კეთილმოწყობა;

N3 და N4 ფილიალების ახალი მიშენებებისათვის შევიძინეთ ავეჯი და ინვენტარი;

N4 ფილიალისათვის შევიძინეთ ელექტრო ქურები;

N34, N6 ფილიალებისათვის შევიძინეთ მაცივარი და მტვერსასრუტი;

N32 და N31 ფილიალებისათვის შევიძინეთ პიანინო და მუსიკალური ცენტრი.

ბაგა-ბაღების გაერთიანებამ თითქმის ყველა ფილიალში ჩაატარა საქველმოქმედო ღონისძიებები. სრულიად უნიკალური პროექტები განხორციელდა ჩვენი პატარებისთვის, მაგალითად: ქალაქის მთავარ დღესასწაულზე თეატრალიზებული ფოტოსესია „ბავშვები და გვირილობა“, „მეტი საინტერესო ადამიანი ჩვენს პატარებთან“, „ზღაპრის დღე“ და სხვა. ინტენსიურად ტარდება ეკოლოგიური თემატიკისა და სამოქალაქო ფასეულობების პოპულარიზაცია მომავალ თაობაში, შემოქმედებითი საღამოები და სხვა.

წარმატებით იმუშავა „საზაფხულო ბაღების“ პროგრამამ და ახალი სასწავლო წლის რეგისტრაციის პროცესშიც ექსცესების გარეშე ჩაიარა. სექტემბრის მონაცემებით ჩვენი აღსაზრდელების რაოდენობა, რა თქმა უნდა, გაიზარდა და ეს სტატისტიკა ამტკიცებს, რომ საკუთარი შვილების აღზრდას სახელმწიფო ბაღებს მეტი მშობელი ანდობს, ჩვენი ავტორიტეტი საზოგადოებაში კიდევ უფრო მაღლდება და ეს ყველას დამსახურებაა. თქვენი რაციონალური თანამშრომლობის ჩვენს გაერთიანებასთან, ხშირი სტუმრობით ბაღებში, პრობლემის გულთან მიტანით და სწორი გადაწყვეტილებებით. ბუნებრივია, ჩვენი გამოწვევაა ვიყოთ უფრო ეფექტურები და გუნდურები. შევძლოთ, კიდევ უფრო სრულვყოთ ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურა და მატერიალური ბაზა, შენობები და გარე პერიმეტრები. გვაქვს დიდი გეგმები, საინტერესო ინიციატივები და როგორც აქამდე, იმედი გავქვს, თქვენი მხარდაჭერით, კიდევ უფრო ავამაღლებთ საზოგადოების სანდოობის ხარისხს.

**შენიშვნა:** წინამდებარე ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-12 სხდომაზე, მ/წლის 26 სექტემბერს, წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორმა, დავით წიტიანიშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია